ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურს

სამშენებლო კომპანია „ლიბერთი სითი“-ს

მიერ დაზარალებული იპოთეკარების:

რუსუდან დავითულიანის (პ/ნ 01006016719)

მანანა ვეშაგურის (პ/ნ 01007009835)

ქეთევან შერვაშიძის (პ/ნ 01024020369)

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

(საჩივარი)

მოგახსენებთ, რომ 2008 წლის აპრილში 105-მა ოჯახმა შევიტანეთ თანხა სამშენებლო კომპლექსში მდებარე: ქ. თბილისი, გამზირი ჭავჭავაძე N 5ა, ნაკვეთი 11/048, საკ. კოდი 01.14.14.011.048. სადაც უკვე აშენებული იყო 5 სართული და რომლის მშენებლობას აწარმოებდა სამშენებლო კომპანია „ლიბერთი სითი“. 2009 წლიდან სამშენებლო კომპანია „ლიბერთი სითი“-ს მესაკუთრეები გახდნენ ჯუმბერ და ლალი კახიძეები, რითაც ბატონმა ჯუმბერ კახიძემ თავის-თავზე აიღო კომპანიაზე დაკისრებული ვალდებულებები და პასუხისმგებლობები.

ვინაიდან ბინების საბაზრო ღირებულება მკვეთრად დაეცა და ვეღარ ხერხდებოდა დაზარალებული იპოთეკარების დაკმაყოფილება, ამიტომ 2011 წელს ფინანსურმა პოლიციამ, პროკურატურამ და მერიამ(დაზარალებული იპოთეკარების დახმარების მიზნით) ერთობლივად მიიღეს გადაწყვეტილება ზემოდ აღნიშნულ მისამართზე კოეფიციენტის მომატების და დამატებითი ფართების გამოყოფის შესახებ. მოხდა პროექტის კორექტირება და გაცემული იქნა მშენებლობის ნებართვა. იპოთეკარების თანხმობის გარეშე განახორციელეს იმ 5 სართულიანი შენობის დემონტაჟი რომელშიც თანხები გვქონდა ჩადებული და უკვე ათი წელია ჩვენ, დაზარალებული 105 ოჯახი ვედავებით აღნიშნულ კომპანიას და მოვითხოვთ თანხის დაბრუნებას ან ფართების დამატებას.

როგორც შევიტყვეთ(სრულიად შემთხვევით) ბატონმა ჯუმბერ კახიძემ გაასხვისა აღნიშნული ტერიტორია და შემძენი არის სამშენებლო კომპანია „ბანი“-ს დამფუძნებელი ბატონი კობა გილაშვილი.

ჩვენ, დაზარალებული იპოთეკარები, უმორჩილესად გთხოვთ არ მისცეთ სამშენებლო კომპანია „ბანს“ მშენებლობის გაგრძელების ნებართვა ვიდრე არ იქნება დაკმაყოფილებული მათი მხრიდან ჩვენი მოთხოვნა, კერძოდ დაზარალებული იპოთეკარებისათვის დამატებითი ფართების გამოყოფა(სწორედ ამის გამო მიიღო ერთობლივი გადაწყვეტილება ფინანსურმა პოლიციამ, პროკურატურამ და მერიამ კოეფიციენტის მომატების შესახებ).

გთხოვთ გაითვალისწინოთ ჩვენი მდგომარეობა და არქიტექტურის სამსახურმა არ გასცეს მშენებლობის ნებართვა დაზარალებული მოქალაქეების თანხმობის გარეშე.

იმედით ველოდებით თქვენგან თანადგომას და გამოხმაურებას ჩვენს განცხადება/საჩივართან დაკავშირებით.

პატივისცემით

რუსუდან დავითულიანი _____

მანანა ვეშაგური _____

ქეთევან შერვაშიძე _____